ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XII
თბილისი. 2017

ნესტან სულავა

წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე (წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულების მიხედვით)

ათონის საღვთისმეტყველო ცენტრისა და ლიტერატურული სკოლის დაარსების სათავეებთან ბერად აღკვეცილი ორი ქართველი მხედართმთავარი დგას, წმ. იოვანე მთაწმინდელი და იოვანე-თორნიკე. ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები მათ შესახებ დაცულია ქართულ და ბიზანტიურ წყაროებში, ივირონის აქტებში, რომელთა მეშვეობით ივსება თითოეულის სახე და უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგება მათი პოლიტიკური და საეკლესიო-სასულიერო მოღვაწეობა. წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე წარმოჩენილია წმ. გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისა, აღწერილი გლახაკისა გეორგის მიერ ხუცესმონაზონისა“.

1. წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ნათესაობის შესახებ. წმ. გიორგი მთაწმინდელი წმ. იოვანე მთაწმინდელის ვინაობისა და საქმიანობის შესახებ გვიამბობს: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპაჲთგან დიდებული და წარჩინებული და საჩინო მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მხნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაჲთა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისჴმისყოფითა, და სავსე შიშითა ღმრთისაჲთა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად საყუარელი და საკუთარი კეთილად ჴსენებულისა დავით კურაპალატისა“.[1]

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ. 1967, გვ. 42.

როგორც ვხედავთ, წმ. გიორგი მთაწმინდელი წმ. იოვანე მთაწმინდელის საერო სახელსა და გვარ-ჩამომავლობას არ გვაუწყებს. კ. კეკელიძეს იგი იოვანე-ვარაზვაჩედ მიაჩნდა.[2] მაქსიმე ბერძნიშვილმა იოვანე-ვარაზვაჩეს ვინაობის დადგენას სპეციალური წერილი მიუძღვნა და დოკუმენტების მონაცემთა მიხედვით გაარკვია, რომ იოვანე-ვარაზვაჩე და იოვანე-აბულჰერითი ორი სხვადასხვა პირია და მათი ნათესაური ურთიერთობაც დაადგინა. მ. ბერძნიშვილმა ხელნაწერში A-134 მოიძია ცნობა, რომლის მიხედვით ერისმთავრობისას იოვანე აბულჰერითად მოიხსენიება, მისი საერო სახელია დამოწმებული სვინაქსრის მოსახსენებელშიც. სწორედ ამ წყაროების საფუძველზე გახდა ცნობილი, რომ ერისკაცად ყოფნისას წმ. იოვანე მთაწმინდელს აბულჰერითი რქმევია. ამ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით გახდა ცნობილი, რომ წმ. იოვანე მთაწმინდელის საერო სახელი აბულჰერითია: „იესო ქრისტე, შეამკვე მადლითა და ნიჭითა შენმიერითა წმიდაჲ მამაჲ ეფთჳმე, ძე წმიდისა მამისა იოვანე აბულჰერისი, დამკვიდრებად სამოთხისა, რომელმან თარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი, განმანათლებელი სულთაჲ და სხუანი ურიცხვნი ბერძულისაგან ქართულად ჰლოცვათ“ (A-134, გვ. 424); „თვესა ივნისსა იდ. ამასვე დღესა მიცვალება ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი, ეფთვიმეს მამისა, ჭეშმარიტისა მის მონაზონისაჲ და ქრისტეს ნებისმყოფელისაჲ, რომელსა პირველად აბულჰერით ერქუა ერისმთავრობასა“ (A-222, გვ. 359-360). სავსებით ნათელია, წმ. იოვანე მთაწმინდელის საერო სახელი აბულჰერითია.[3]

წმ. იოვანე მთაწმინდელის, იოვანე-თორნიკესა და იოვანე-ვარაზვაჩეს სულიერი და ხორციელი ნათესაობის გასარკვევად საყურადღებოა 977 წელს საბა უცბად მწერლის მიერ ათონზე გადაწერილი ჰომილეტიკური კრებულის მომგებლის წმ. იოვანე მთაწმინდელის ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „...მე, იოვანე, ღირს ვიქმენ მოგებად წმიდისა ამის წიგნისა, რომელი თარგმნა შვილმან ჩემმან ეფთვიმე ბერძულისაგან, და შრომაჲ დიდი ვაჩუენეთ ამას ზედა საკსენებელად სულისა ჩუენისა. აწ ვინცა მიემთხჳნეთ წმიდათა ამათ სიტყუათა ნეტარისა მამისა ჩუენისა ბასილისთა, განმანათლებელთა სულისათა, ღმერთმან დაგაჯეროს, ლოცვასა მოგჳკსენენით მე, იოვანე, და სული-

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. თბ. 1960, გვ. 175.

[3] მ. ბერძნიშვილი. იოანე-ვარაზვაჩესთვის. „ანალები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები. ტ. I. თბ. 1947, გვ. 248-249; ნ. სულავა. ორი მიქაელი ძველ ქართულ მწერლობაში. „მაცნე“. ენის და ლიტერატურეს სერია. 2003. №1-4, გვ. 33-51; ნ. სულავა. მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის ლოკალიზაციისათვის. „ანალები“. №8. თბ. 2011, გვ. 383-397.

ერად და ჴორციელად ძმაჲ ჩემი იოვანე, თორნიკ-ყოფილი და შვილი ჩემი ეფთვიმე, რომელმან თარგმნა ესე, და სულიერნი ძმანი ჩემნი არსენი, თეოდორე (თ˜ე) და გიორგი (გ˜ი)"...[4] შევნიშნავთ, რომ არც ერთი სხვა დოკუმენტი წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ხორციელ ძმობას არ ახსენებს. მაქსიმე ბერძნიშვილმა იოვანე-თორნიკესა და წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მამის – წმ. იოვანეს ნათესაური კავშირის შესახებ გამოთქვა შეხედულება, რომლის მიხედვით ზემოთ დამოწმებული სიტყვები მათი ხორციელი და სულიერი ძმობის თაობაზე მიაჩნია „ფიგურალურ თქმად, ფიზიკური მახლობლის მნიშვნელობისად მხოლოდ, როგორც ამას ხშირად ვხმარობთ დღესაც: ძმას ვუწოდებთ ფაქტიურად არა ღვიძლ ძმასაც, ოღონდ სიყვარულით, მახლობლობით ძმის სადარსა და ტოლს. თორნიკეს კი, ჩვენ ვიცით, ათონში ჩასვლამდეე „ფრიადი სიყვარული აქუნდა იოანეს მიმართ" (გიორგი მცირე). გარეშე ამისა მათ შორის არსებობდა ფიზიკური, არასისხლისმიერი, მახლობლობაც ანუ თვისობა, ე. ი. სწორედ ის, რასაც მოწმობს წმ. გიორგი მთაწმინდელი „ცხორებაში" და რაც ერთგვარ ფორმალურ გამართლებასაც წარმოადგენს მათი „ხორციელად" ძმობისას".[5]

თუ რა ნათესაური კავშირ-ურთიერთობა იყო, ერთი მხრივ, ძმებს – იოვანე-თორნიკესა და იოვანე-ვარაზვაჩეს, მეორე მხრივ, წმ. იოვანე მთაწმინდელს შორის, შეიძლება დადგინდეს წმ. გიორგი მთაწმინდელის „წმ. იოვანესა და ეფთვიმეს ცხორებასა" და სხვა ათონურ ხელნაწერებში დაცული ფაქტების მოშველიებით. იოვანე-თორნიკე და იოვანე-ვარაზვაჩე რომ ძმები, ჩორდვანელის ძენი არიან, კარგად ჩანს იმ მრავალრიცხოვან კოლოფონებში, რომლებიც შემოუნახავთ ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო ცენტრებში შექმნილ და ათონზე დაცულ ხელნაწერებს – Ath. 1; Ath.3; Ath.9, აგრეთვე, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის სინოდალური კოლექციის ხელნაწერს Gr.62.

პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად, წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან ერთად, განსაკუთრებული ღირებულებისაა დაკარგული ხელნაწერის „განძის" შემონახული ანდერძი – Gr.62, რომელშიც იოვანე-თორნიკე ასახელებს იოვანე-აბულჰერითს, როგორც თავის სულიერ მოძღვარს, და იოვანე-ვარაზვაჩეს, როგორც თავის ძმას. „... მე, იოვა-

[4] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ათონური კოლექცია. ტ. I. თბ. 1986, გვ. 98-99.
[5] მ. ბერძნიშვილი. იოანე-ვარაზვაჩესთვის, გვ. 248.

ნე-თორნიკყოფილმან, ძემან სულკურთხეულისა უფლისა ჩორდვანელისამან... დავწერე... წიგნი... განძი... აწ გევედრები... მოიჴსენენით პირველად მოძღუარი ჩემი იოვანე აბულჰერით და ძმაჲ ჩემი იოვანე-ვარაზვაჩე და შვილნი ჩვენნი სულიერნი და ჴორციელნი მიქაელ და ჩორდვანელი ექუსოვიტი და ბაგრატ პატრიკი და ჩორდვანელი და მცირაჲ თორნიკ და სულნი მშობელთა ჩემთანი და ძმათა და ყოველთა თჳსთა ჩემთა".[6] „განძის" ანდერძი მართლაც ძვირფასი განძია იოვანე-თორნიკეს, იოვანე-ვარაზვაჩეს, იოვანე-აბულჰერითს შორის სულიერი და ხორციელი ნათესაობის დასადგენად. ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებისა და წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულების მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ იოვანე-ვარაზვაჩე და იოვანე-აბულჰერითი ორი სხვადასხვა პიროვნებაა. იოვანე-ვარაზვაჩე იოვანე-თორნიკეს ძმაა, ხოლო იოვანე-აბულჰერითი, მამა წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, მათი ბიძაშვილის — აბუჰარბის ასულის ქმარია, მათი სიძეა. მიუხედავად ამისა, ხშირად სამეცნიერო ლიტერატურაში წმ. იოვანე მთაწმიდელი მაინც იოვანე-თორნიკეს ძმადაა მიჩნეული. ვფიქრობთ, ეს შეცდომა უთუოდ უნდა გასწორდეს.

წმინდა მამათა იოვანე და ეფთვიმე მთაწმიდელების „ცხორების" დასაწყისშივე მოიხსენიებიან იოვანე და ეფთვიმე, რომლებიც განსაკუთრებული პატივით სარგებლობდნენ როგორც ათონზე, ასევე ბიზანტიისა და საქართველოს უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებში: „...ამათ ჟამთა შინა გამოაჩინნა ნეტარნი მამანი ჩუენნი: იოვანე და ეფთვიმე და იოვანე და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და იოვანე გრძელის ძე და შემდგომითი შემდგომად სხუანი იგი მოწაფენი მათნი"...[7] პირველად ნახსენები იოვანე წმ. იოვანე მთაწმინდელია, მეორედ ნახსენები იოვანე კი იოვანე-თორნიკეა. წმ. გიორგი მთაწმინდელი გვიამბობს წმ. იოვანე მთაწმინდელის, ეფთვიმეს მამის ვინაობისა და საქმიანობის შესახებ: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი, მშობელთა და პაპთაჲგან დიდებული და წარჩინებული და საჩინოჲ მთავართა შორის დავით კურაპალატისათა, მჴნე და ახოვანი და განთქმული წყობათა შინა, მაღალი და შუენიერი ჰასაკითა და აგებულებითა გუამისაჲთა და ბრძენი და გონიერი გონებითა და გულისჴმისყოფითა, და სავსე შიშითა ღმრთისაჲთა და ყოვლითავე კეთილისა საქმითა, და ფრიად

[6] P. Peeters. Un colophon géorgian de Thornik le moine. Analecta Bollandiana. 50. fasc. 3-4. 1932, გვ. 360.

[7] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 38.

საყუარელი და საკუთარი კეთილად ჴსენებულისა დავით კურაპალატისა".[8] იოანეს მხედართმთავრობას მიუთითებს სვინაქსარის A-222-ის მოსახსენებელიც. იგი ოთხთა დიდებულ ლავრაში ეკურთხა მონაზვნად, შემდეგ მიაშურა ულუმბოს, ბოლოს ათონს. მაგრამ ათონზე წასვლამდე იოვანეს შვილი — ეფთვიმე ბაბუამ და დედის ძმებმა მძევლად მისცეს ბიზანტიის იმპერატორს. იოვანე მყის მიიწია კონსტანტინოპოლს შვილის წამოსაყვანად. გიორგი მთაწმიდელი გვიამბობს: „და ვინაჲთგან მეფენი მეცნიერ იყვნეს აბუჰარბისა, რომელი იყო სიმამრი მამისა იოვანესი, და იოვანესდაცა ფრიადი სიყუარული აჩუენეს მის ზედა და კეთილად მოიკითხეს".[9] ე. ი. წმ. იოვანე მთაწმიდელის სიმამრი იყო აბუჰარბი, ბიძა ჩორდვანელის ძეთა იოვანე-თორნიკესი და იოვანე-ვარაზვაჩესი. აბუჰარბი ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მიღებული და ცნობილი პიროვნება ჩანს. მან თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილის ეფთვიმეს მძევლად მიყვანის გამო სიძისაგან მკაცრი საყვედური მიიღო. წმ. იოვანე მთაწმინდელმა ეფთვიმე ათონზე წაიყვანა და სამუდამოდ იქ დარჩა.

წმ. გიორგი მთაწმინდელი თორნიკეს შემონაზვნების შესახებაც მოგვითხრობს: „მათ ჟამთა შინა თჳსი მისი დიდი თორნიკ თჳსსა ქუეყანად მონაზონ იქმნა და, რამეთუ ასმიოდა იოვანესთჳს, ვითარმედ ულუმბათა არს და ვინაჲთგან ფრიადი სიყუარული აქუნდა მისსა მიმართ, მას მოჰმართა და ულუმბათა შთამოვიდა და, ვინაჲთგან მუნ ვერ პოვა, ფარულად გამოიწულილა და ცნა, ვითარმედ მთაწმიდას არს, და, თჳნიერ ცნობისა მეფეთაჲსა, იდუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხევაჲ მონაზონებისაჲ ჴელთაგან იოვანესთა მიიღო... მთაწმიდას შთამოვიდა და ლავრასა დიდისა ათანასესსა მიიწია და, ვინაჲთგან დაფარვაჲ არღარაჲ ეგებოდა, ურთიერთას გამოეცხადნეს და სიყუარულითა სულიერითა შეიტკბნეს და ფრიადი სიხარული იქმნა მონასტერსა შინა მას დღესა, რამეთუ არცა დიდი ათანასი უმეცარ იყო თორნიკის საქმესა და წარჩინებულობასა და ახოვნებასა...".[10] წმ. გიორგი მთაწმინდელმა იოვანე-თორნიკეს უწოდა წმ. იოანე მთაწმინდელის „თჳსი";[11] სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, ზემოთაც აღვნიშნეთ, „თჳსი" დედის ნათესავია, ე. ი. ნათესავია ქალის ხაზით. ჩანს, აქ იგულისხმება ეფთვიმეს დედის ნათესაობა იოვანე-თორნიკესთან, ისინი ბიძაშვილები,

[8] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 42.
[9] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 43.
[10] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 44.
[11] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 55.

ძმების – აბუჰარბისა და ჩორდვანელის შვილები არიან. აბუჰარბი კი, ზემოთაც აღვნიშნეთ, წმ. იოვანე მთაწმინდელის სიმამრია. ამავე თხზულებაში თვით წმ. იოვანე მთაწმინდელიც „თჳსად“ იხსენიებს იოვანე-თორნიკეს.

ვფიქრობთ, საკითხის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორი ურთიერთობა იყო წმ. იოვანე მთაწმინდელსა და იოვანე-თორნიკეს შორის, რომლის ამსახველ ეპიზოდებს გადმოგვცემს წმ. გიორგი მთაწმინდელი. ნათლად ჩანს, რომ წმ. იოვანე მთაწმინდელი უდიდესი პატივისცემით, კრძალვითა და რიდით ეპყრობოდა იოვანე-თორნიკეს (იხ. 18, გვ. 49-51). ასევე, თვით იოვანე-თორნიკესაც დიდი რიდი და კრძალვა ჰქონდა თავისი სულიერი მოძღვრის მიმართ. წმ. იოვანე მთაწმინდელმა გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე წარმოთქვა ანდერძი და მოითხოვა, რომ ყოველწლიურად აღესრულებინათ იოვანე-თორნიკე სვინგელოზის სახელზე წირვა-მოსახსენებელი. „ეგრეთვე სულიერსა ძმასა ჩუენსა იოვანე სჳნგელოზსა... საკჳსენებელსა აღასრულებდნენ“.[12] ეს რიდი და კრძალვა ურთიერთშორის მათი სულიერი და ხორციელი სიახლოვის დამადასტურებელია. წმ. იოანე მთაწმინდელი იოვანე-თორნიკეს თავის სულიერ ძმად იხსენიებს, რის წერილობითი საბუთიც დაუტოვებია, როგორც ამას წმ. გიორგი მთაწმინდელი გვამცნობს. იოვანე და ეფთვიმე მთაწმინდელების „ცხორებაში“ იოანე-თორნიკე სვინგელოზი ყველგან სულიერ მოძღვრად მიიჩნევს წმ. იოვანე მთაწმინდელს.

წმ. იოვანე მთაწმინდელი იხსენიება, აგრეთვე, ივირონის ბერძნულ აქტებში.[13] ამავე ივირონის ბერძნულ აქტებში იხსენიება იოვანე-თორნიკე სვინგელოზის სახელი (№№ 3, 4, 5, 24, 32, 42). ათონის მთის სააღაპე წიგნში იოვანე-თორნიკეს სახელზე განწესებულ აღაპს პირველი ადგილი უჭირავს. მისი განგება ნიმუშადაა მიჩნეული სხვათა აღაპებისათვის. ამავე ივირონის ბერძნულ აქტებსა (№№ 9, 10, 12, 23, 24) და სააღაპე წიგნში შეტანილია გიორგი I დიდის, ელენე მეტრეველის აზრით, იოვანე-ვარაზვაჩეს ძის, თორნიკეს ძმისწულის, იოვანე ქართველის „თჳსის“ მოსახსენიებელი.[14]

ამრიგად, იოვანე-ვარაზვაჩე და წმ. იოვანე მთაწმინდელი, წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მამა, ორი სხვადასხვა პირია. წმ. იოვანე მთაწმინდელი X საუკუნის 70-იან წლებში უკვე ათონზე იმყოფება შვილთან ერთად, ხოლო

[12] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 59.
[13] Actes d'Iviron. I. Éd. par J. Lefort, N. Oikonomidés, D. Papachryssanthou, avec la collaboration d' H. Métrévéli. Paris, 1985: ##7-10; შემდეგში აქტების ნომრები ტექსტშია მითითებული.
[14] ე. მეტრეველი. ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ. 1998.

იოვანე-ვარაზვაჩე ოშკის ლავრის მწიგნობრულ საქმიანობას უდგას სათავე-ში. ელენე მეტრეველის შეხედულებით, ოშკის ბიბლიის გადამწერი მიქაელი გიორგის სახელით აღიკვეცა ბერად და 981 წლის შემდეგ თავის ბიძასთან — იოვანე-თორნიკესთან ერთად ათონს მიაშურა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი და გიორგი I დიდი, მაშენებლად წოდებული, მიქაელ-ყოფილი, ძმების — აბ-უჰარბისა და ჩორდვანელის — შვილიშვილები არიან, როგორც წმ. გიორგი მთაწმინდელი ამბობს, ერთმანეთის „თჳსნი“ არიან. იოვანე-თორნიკესათვის წმ. იოვანე მთაწმიდელი სიძეა, ბიძაშვილის — აბუჰარბის ასულის ქმარია, ხოლო წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი — ბიძაშვილის შვილია.

2. წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს ჰაგიოგრაფიული ხატ-სახე. წმ. გიორგი მთაწმინდლისეული დახასიათება წმ. იოვანე მთაწმინ-დელს წარმოაჩენს წმინდანისათვის დამახასიათებელი ზოგადი თვისებებით, რომლებითაც ჰაგიოგრაფიის იდეალური გმირი უნდა იყოს შემკული. წმ. იოვანე მთაწმინდელის გარეგნული და შინაგანი თვისებები შეზავებულია, იგი უთუოდ მოგვაგონებს წმ. გრიგოლ ხანცთელის ფრესკის დარად წარმოსა-ხულ სახეს და კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ წმინდანის ამგვარად წარმოჩენა ჰაგიოგრაფიის სპეციფიკა და შუასაუკუნეობრივი სახისმეტყველე-ბის პრინციპია. თავის მხრივ, ეს პერსონაჟის ესთეტური ხედვის საფუძველს ქმნის, ვინაიდან წმინდანთა სახეებში გაუთიშავადაა მოცემული რელიგიური და მხატვრული ფენომენი, ორივე ერთობლივად წარმოიდგინება, ოღონდ რე-ლიგიურის დომინირება სრულიად ნათელი და უეჭველია.

წმ. იოვანე, მხედართმთავარი და დიდგვაროვანი ფეოდალური წრის წარმომადგენელი, გაურბოდა ნაცნობ გარემოს, ოჯახს, თავს არიდებდა სოფ-ლურ ინტერესებს, კაცთა ყოფისათვის დამახასიათებელ შფოთს და ეძიებდა მარტოობას; ავტორი გვიამბობს, რომ მას ერისკაცობაშივე მძაფრად წაეკიდა „ცეცხლი იგი ქრისტჱს სიყუარულისაჲ, ყოველი დიდებაჲ ამა სოფლისაჲ შეურაცხყო და ნაგევად შეჰრაცხა და მონაგები და სიმდიდრე და განსუენე-ბაჲ და მეუღლე და შვილნი და ნათესავნი... სიტყვისაებრ უფლისა, აღიღო ჯუარი მჴართა თჳსთა ზედა და ფარულად ყოველთაგან სივლტოლაჲ იჴუმ-ია და იჯმნა ყოველთაგან და მხოლოჲ ლავრასა დიდებულსა ოთხთა ეკლე-სიათასა შევიდა“.[15] სულიერი სიმშვიდე მაინც ვერ მოიპოვა, ვინაიდან მისი ვინაობა ბერ-მონაზონთა წინაშე, ხოლო ადგილ-სამყოფელი — საერო პირ-

[15] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 42-43.

თათვის მალე გაცხადდა. როდესაც თავის ხელდამსხმელთაგან, მამა მოსესა და მამა გელასისაგან კურთხევა მიიღო, ულუმბოს მთას მიაშურა, სადაც აწ უკვე სამშობლოს მოშორებულმა ბერმა „მონასტერსა ერთსა შინა“ დაივანა და სიმშვიდეში იმყოფებოდა. სულიერი სიმშვიდის ძიების გზაზე მყოფმა „ჟამთა არამცირედთა ჯორთა მსახურებისა ღუაწლი აჴოვნად თავს იდვა“,[16] სიმდაბლით აღასრულებდა შეურაცხ და უმნიშვნელო მსახურებას, მაგრამ ოლიმპზე მისი ამგვარი სულიერად ნეტარი ღვაწლი დროებითი აღმოჩნდა.

წმ. გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ იმჟამად ბერძენთა იმპერატორმა დავით კურაპალატს დაუთმო „ზემონი ქუეყანანი“, სანაცვლოდ უფლისწულები და დიდგვაროვან ფეოდალთა (აზნაურთა) შვილები მძევლებად მოსთხოვა. მეფემაც მისცა. მძევალთა შორის წმ. იოვანეს მცირეწლოვანი ვაჟი ეფთვიმეც იყო, რომელიც პაპამ, წმ. იოვანეს სიმამრმა, ე. ი. აბუჰარბმა, და მისმა ცოლისძმებმა იმპერატორს მიჰგვარეს. როგორც კი გაიგო წმ. იოვანემ სიმამრისა და ცოლისძმებისაგან მცირეწლოვანი შვილის გამძევლების ამბავი, იძულებული გახდა კონსტანტინეპოლს გამგზავრებულიყო, ბიზანტიის იმპერატორს ხლებოდა, საკუთარი თავი გაემჟღავნებინა და შვილის ინტერესები დაეცვა. მან მკაცრად უსაყვედურა საიმპერატორო კარზე მყოფ სიმამრს, რომელსაც „არა ენება მიცემაჲ მისი. და ფრიად აბრალა მას იოვანემ, ვითარმედ: „რაჲ არს ესე? ნუუკუე შვილ არა გესჴნესა თქუენ? გარნა ესე ცხად არს, რომელ მათ სწყალობდით, ვითარცა თჳსთა შვილთა და ძე ჩემი, ვითარცა ობოლი, მძევლად გასწირეთ! გარნა უფალმა შეგინდვენ თქუენ!“[17] ღვთის განგებითა და მეფეთა თანხმობით შვილი წაიყვანა და კვლავ ულუმბოს მიაშურა.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წმ. იოვანე მთაწმინდლის პიროვნების სრულყოფილად წარმოსასახავად უაღრესად მნიშვნელოვანია წმ. იოვანეს მიერ სიმამრისათვის ცოდვის შენდობის ეპიზოდი, – „გარნა უფალმა შეგინდვენ თქუენ!“ – ეს ქრისტიანული ცნობიერების უმაღლესი გამოვლინებაა. ეს ეპიზოდი მოწმობს, თუ როგორ ებრძოდა ერთმანეთს წმ. იოვანეს სულიერ სამყაროში ზესთასოფლური და სოფლური საწყისები. რეალობასთან ამგვარი ჭიდილი იოვანეს ნეკრესის ქარებით ლოგინად ჩავარდნამდე თან სდევდა. ულუმბოს მონასტერში ყოფნისას ღმერთმა იოვანეს უდიდესი გან-

[16] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 43.
[17] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 43-44.

საცდელი მოუვლინა, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ეფთვიმე, წმ. იოვანეს ვაჟიშვილი, მძიმედ დაავადდა, მამა მის გადარჩენას აღარც ელოდა და მღვდლის მოსაყვანად წავიდა, რათა ყმაწვილი ეფთვიმე ღვთის წინაშე უზიარებლად არ წარმდგარიყო; მაგრამ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შემწეობით ეფთვიმე გადარჩა. ამ ეპიზოდის არაპირდაპირი ჰიპოდიგმა ისაკის მსხვერპლად შესაწირად აბრაამის მზადყოფნაა. იოვანემ, როგორც მშობელმა, შვილის ხორციელ და სულიერ მომავალზე შესაფერისად იზრუნა. თხზულებაში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ წმ. ეფთვიმეც, როგორც მშობლის დამფასებელი და მასზე მზრუნველი შვილი, ნიკრისით დაავადების შემდეგ მამას თავად უვლიდა და ტკივილებს უმსუბუქებდა. მამა-შვილის ამგვარი ურთიერთობა, სიყვარული და ურთიერთმზრუნველობა წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ იშვიათი სისადავითა და სიფაქიზითაა გადმოცემული, რაც ევანგელური მადლმოსილებითა და მშობლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობითაა შტაგონებული; ეს ევანგელური ჰიპოდიგმაა. ჯვარზე გაკრულმა მაცხოვარმა თავის ხორციელ დედაზე – ყოვლადწმინდა ღვთისმშობელზე იზრუნა და წმ. იოანე მახარებელს ჩააბარა: „ხოლო იესუ ვითარცა იხილა დედაჲ თჳსი და მოწაფე იგი, რომელი უყუარდა, წინაშე მდგომარენი, ჰრქუა დედასა თჳსსა: დედაკაცო, აჰა ძე შენი! და მერმე მოწაფესა მას ჰრქუა: აჰა დედაჲ შენი! და მიერითგან წარიყვანა იგი მოწაფემან მან თჳსთა თანა“ (იოვანე, 19, 26-27).

წმ. იოვანე შვილთან ერთად ულუმბოდან ათონზე გადავიდა და წმ. ათანასეს ლავრაში დამკვიდრდა. მამამ ადრევე შეიცნო, რომ წმ. ეფთვიმეს ღვთივმიმადლებული ნიჭი ჰქონდა და მისი რჩევით შვილი შეუდგა კიდეც მთარგმნელობით საქმიანობას. მისი სიტყვები: „ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან, და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა, აწ იღუაწე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღვთისაგან“[18] – ეროვნული ინტერესებით გამსჭვალული ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის ნათქვამია, რომელმაც იცის, რა სჭირდება მის ქვეყანას. მამამ წმ. ეფთვიმეს მიზნად დაუსახა ერის განათლება, სულიერი აღზრდა მისი სულიერი სიჩვილის პერიოდში, როგორც ეს მოგვიანებით წმ. ეფრემ მცირემ შეაფასა. მამა-შვილის სახეებში ევანგელური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული ხატმეტყველება იკითხება: როგორც მაცხოვრის ამქვეყნად

[18] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 61.

მოსვლის წინაპირობები იოანე ნათლისმცემელმა მოამზადა, ისე მოამზადა წმ. იოვანე მთაწმინდელმა წმ. ეფთვიმე ქართველი ერის მომავალი სულიერ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის. წმინდა მამის საბერო სახელი „იოვანე" ღვთის მადლს ნიშნავს და, მართლაც, მისი საქმიანობა ულუმბოზეც და ათონზეც ღვთის მადლით განათდა. იოვანეს სახელის სიმბოლიკა იმ მხრივაც იკითხება, რომ პირველი ქართული ეკლესია ათონის მთაზე წმ. იოანე მახარებლის სახელზე ააშენეს, ხოლო შემდეგ იოვანე-თორნიკეს ქტიტორობით „ადგილსა შუენიერსა შუა მთაწმიდისა" აღაშენეს ორი მონასტერი: ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელზე.

წმ. იოვანე მთაწმინდელი თავად აღიარებდა, რომ საამქვეყნო განსაცდელი მას თითქმის არასოდეს ტოვებდა. ოშკის მონასტერში შემონაზვნებულმა იოვანე-თორნიკემ, ჩორდვანელის შთამომავალმა, იოვანეს მეუღლის ნათესავმა, ჯერ ულუმბოს მთაზე მოიკითხა იგი, ხოლო შემდეგ, რაკი იქ ვერ პოვა და გაიგო მისი ადგილსამყოფელი, ათონის მთას მიაშურა. როგორც წმ. იოვანე მთაწმინდელი თვითონ მიუთითებს, შფოთსა და განსაცდელში სწორედ იოვანე-თორნიკეს მხრიდან ჩავარდა. ამიტომ შვილთან ერთად ესპანეთის იბერიაში გამგზავრება გადაწყვიტა, მაგრამ ბიზანტიის იმპერატორმა მას ამის ნება არ დართო და ავიდოსიდან ათონზე დააბრუნა. რატომ ილტვოდა იოვანე ათონიდან, ნაწარმოებში დაზუსტებული არაა, თუმცა ის კი არის ნათქვამი, რომ წმ. იოვანე სულიერ სიმშვიდესა და სიმარტოვეს ეძიებდა, მას ეს მიზანი ბოლომდე მიუღწეველი დარჩა.

ავტორი წმ. იოვანე მთაწმინდელს აბრაჰამს ადარებს, რითაც მინიშნებულია, რომ იოვანეს უდიდესი სულიერი მისია აკისრია: აბრაჰამ მრავალთა მამაა, წმ. იოვანე მრავალ წმინდა მამათა სულიერი მშობელი უნდა გახდეს, გაამრავლოს წმინდა მამები ათონის მთაზე, უცხოობაში, მწირობასა და სიგლახაკით ცხოვრებაში უნდა შეძლოს ქართველი ერის სულიერ აღორძინებაზე ზრუნვა, რისთვისაც ღმერთმა, ვითარცა აბრაჰამს ისააკი, ყოვლად სანატრელი და სათნოებით გამორჩეული შვილი – მომავალი წმინდანი ეფთვიმე მიანიჭა. მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი, ამისთვის აუცილებელია დიდი ლავრის შექმნა და ჩამოყალიბება, რათა ქართულ ენაზე გადმოთარგმნილიყო მთელი ის უზარმაზარი საღვთისმეტყველო ლიტერატურა, რომელიც ბერძნულად არსებობდა და ქართული მწერლობა, კულტურა გამდიდრებულიყო; ყოველივე ამაში უდიდესი წვლილი წმ. იოვანე მთაწმინდელსა და მის ნათესავს, „თვისს", იოვანე-თორნიკეს მიუძღვით.

დავით კურაპალატის მაგისტროსობისას ერთ-ერთი უდიდესი და ცნობილი მთავარსარდალი თორნიკე ტაოელი დიდგვაროვანი ფეოდალის ჩორდვანელის ჩამომავალი იყო, ენათესავებოდა წმ. იოვანე მთაწმინდელს, ერისკაცობაში – აბულჰერითს. წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ ამ პერსონაჟის სახეც წმ. იოვანე მთაწმინდელის მსგავსად არის წარმოჩენილი. მანაც ცოდვებით დამძიმებულმა დატოვა საერო ცხოვრება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰაგიოგრაფიული გმირისაგან განსხვავებული ხატ-სახითაა წარმოსახული. წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში იოვანე-თორნიკესთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიზოდია მოთხრობილი: მისი ბერად აღკვეცისა და ათონის ქართველთა მონასტერში წასვლის ამბავი, იოვანე-თორნიკეს ადგილი და როლი ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში, იოვანე-თორნიკეს მიერ ივირონის მონასტერში გატარებული ცხოვრების ბოლო წლები.

ელ. მეტრეველი ვარაუდობდა, რომ თორნიკე „თჳსსა ქუეყანასა“ უნდა შემონაზვნებულიყო ოშკის მონასტერში, რომელთანაც არის მისი სახელი დაკავშირებული.[19] თუმცა წმ. გიორგი მთაწმინდელის ჰაგიოგრაფიული თხზულება თორნიკეს შემონაზვნბეის ამბავს ცოტა განსხვავებულად გვიამბობს. წმ. იოვანე მთაწმინდელის მსგავსად, არც მას სურდა სამშობლოში დარჩენა, მანაც უცხოობაში მწირად და გლახაკად ყოფნა აღირჩია, რისთვისაც ულუმბოს მთას მიაშურა. აქ ეგულებოდა თავისი სულიერი მეგობარი და ნათესავი, სამხედრო საქმეში თავისი წინამორბედი მთავარსარდალი წმ. იოვანე მთაწმინდელი, რომელიც ამ დროისათვის უკვე ათონზე იმყოფებოდა შვილთან – ეფთვიმესთან ერთად. იოვანე-თორნიკეც, „თჳნიერ ცნობისა მეფეთაჲსა, იდუმალ მთაწმიდას მოვიდა და კურთხევა მონაზონებისაჲ ჴელთაგან იოვანესთა მიიღო“,[20] რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ათონზე შემონაზვნდა და ბერად აღკვეცის კურთხევა იოვანესაგან მიიღო. თორნიკეს წმ. ათანასეც, ათონის მონასტერთა წინამძღვარიც, კარგად იცნობდა. იგი დიდი პატივით მიიღეს ათონზე. სწორედ მისი მისვლის შემდეგ ააგეს ქართველებმა იოვანე მახარებლის სახელობის ეკლესია და თავიანთი სადგომი სენაკები, სადაც ცხოვრობდნენ, „ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი“.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოგვითხრო იმის შესახებ, როგორ მომზადდა საფუძველი ათონის დიდებული ქართული ლავრის მშენებლობისათ-

[19] ე. მეტრეველი. ნარკვევები. თბ. 1996.
[20] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 44.

ვის. ამ ისტორიულ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ავტორი დეტალურად გვიამბობს ისტორიული ღირებულების მოვლენას, რათა სრულყოფილად წარმოაჩინოს ქართველთა სიძლიერე და ავტორიტეტი X საუკუნის 70-იან წლებში. სწორედ აქაა მოთხრობილი იოვანე-თორნიკესთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი. აღმოსავლეთ ბიზანტიის ერთ-ერთი პროვინციის მმართველი ბარდა სკლიაროსი იმპერატორს აუჯანყდა და „ჴმელით კერძი ყოველი დაიპყრა და მეფენი და დედოფალი შეწყუდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა და იწროებითა“.[21] მძიმე მდგომარეობაში მყოფმა ბერძნებმა განიზრახეს, დახმარება დავით კურაპალატისათვის ეთხოვათ: „ჩუენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე არავინ არს“.[22] წმ. გიორგი მთაწმინდელი იმ მიზეზს წარმოაჩენს, რის გამოც უშუალოდ დავით კურაპალატს ვერ მიმართა ბიზანტიის საიმპერატორო კარმა, – ტაოსკენ მიმავალი ყველა გზა ბარდა სკლიაროსს ეპყრა. ათონზე, ქართველთა მონასტერში, წარავლინეს სევასტოფორი, „კაცი წარჩინებული მათ ჟამთა შინა მთავართა შორის დედოფლისათა“[23] და მათთვის კარგად ნაცნობ წმ. ათანასეს, წმ. იოვანე მთაწმინდელსა და იოვანე-თორნიკეს სთხოვეს დახმარება; წმ. ათანასე და წმ. იოვანე იოვანე-თორნიკეს ევედრებოდნენ, რათა „აღვიდეს მეფეთა წინაშე“ და აღასრულოს ის უდიდესი მისია, რომელიც მას უნდა დაკისრებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის საქმეში. იოვანე-თორნიკეს დათანხმება ადვილი არ იყო, რადგან ცოდვათა შესანანებლად მოსულს კვლავ შფოთსა და ომში ჩართვა არ სურდა, მიაჩნდა, რომ ომში ჩაბმა და ბრძოლა ბერმონაზვნური ცხოვრების წესსა და ზნეობას ჩამოაცილებდა: „მე ცოდვათა ჩემთათჳს მოსრულ ვარ ამას წმიდასა ადგილსა და შეუძლებელ არს ჩემი მეფეთა წინაშე წარსლვაჲ, რამეთუ მე ვიცი, თუ რომლისა პირისათჳს მიჴმობენ, და, ვინაჲთგან ღმერთმან ღირს-მყო და სახე მონაზონებისაჲ შევიმოსე, მე ამიერითგან არცაღა მეფეთა თანა მიც შესაპოვარი, არცაღა სხუასა ვის ქუეყანასა ზედა. აწ ვევედრები სიწმიდესა თქუენსა, ღმრთისა სიყუარულისათჳს შემინდვეთ და ნუ მაიძულებთ ამის პირისათჳს, რამეთუ, უკუეთუ წავიდე, ამის სოფლისავე შფოთთა შთამაგდებენ“.[24] სოფლის შფოთს განრიდებულ თორნიკეს მთაწმინდელი მამები წმ. ათანასე და წმ. იოვანე აიძულებდნენ, წასული-

[21] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 45.
[22] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 45.
[23] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 45.
[24] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 46.

ყო საიმპერატორო კარზე, ვინაიდან „უკუეთუ ურჩ ვექმნეთ მეფეთა, დიდსა რისხვასა მოვაწევთ ჩუენ ზედა და მონასტერსა ამას ზედა“.[25] ერთი კვირის მუდარამ ბოლოს მაინც გაჭრა და თორნიკე საიმპერატორო კარზე წარდგა. დედოფლის ბრძანებით მცირეწლოვანი ობოლი უფლისწულები ბასილი და კონსტანტინე იოვანე-თორნიკეს ფეხთ ჩაუვარდნენ. იოვანე-თორნიკემ „შინა-გამოღებით მრავალფერთა საქმეთათჳს ამხილა დედოფალსა“,[26] რომელიც ევედრა დავით კურაპალატთან შუამდგომლობას. იოვანე-თორნიკეს მხედარ-თმთავრობით ქართველთა ლაშქარმა აოტა სკლიაროსი, სპარსეთამდე მისდია მას[27] და ბიზანტია სპარსთა თარეშს გადაარჩინა. იოვანე-თორნიკემ მოიპოვა „ნატყუენავი დიდძალი“, რომლის ნაწილი ჯარს გაუნაწილა, ხოლო ნაწილი თავად წაიღო ათონზე ივირონის მონასტრისათვის შესაწირად. წმინდა მამებ-მა დიდი პატივით მიიღეს ათონზე დაბრუნებული იოვანე-თორნიკე და ჰმად-ლობდნენ ღმერთს, რომ მშვიდობით დააბრუნა იგი წმინდა მთაზე.

იოვანე-თორნიკემ ათონზე „მრავალნი ფიჩოსანნი და სახელოვანნი მო-ნაზონნი“[28] წაიყვანა, ვინაიდან სურდა, რომ ათონის ქართველთა ლავრაში მხოლოდ ქართველები დამკვიდრებულიყვნენ, თუმცა ეს შეუძლებელი შეიქნა და მალე იძულებულნი გახდნენ, სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ბერძნებიც შემოეყვანათ. ათონის ქართველობა გაიზარდა, რის გამოც მხო-ლოდ იოანე მახარებლის სახელობის ეკლესია საკმარისი აღარ იყო, მათ სულიერ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. მათი სიტყვით: „აქა ყოფაჲ ჩუე-ნი შეუძლებელ არს, კაცნი ვართ სახელოვანნი და ქართველნი მოგუმართე-ბენ“.[29] ამიტომ გადაწყდა კიდევ ერთი მონასტრის აშენება. თუმცა წმ. იოვა-ნე მთაწმინდელს ეს საქმე უმძიმდა, მაგრამ „ქართველთა განსუენებისათჳს და უფროჲს ხოლო თორნიკის აშენებისათჳს თავს-იდვა ამისი ჴელ-ყოფა“.[30] სკლიაროსზე გამარჯვების შედეგად მოპოვებული განძით ქართველმა ბერებმა ათონის მთაზე შეისყიდეს „ადგილნი მრავალნი“ და ააგეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიები. დავით

[25] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 46.
[26] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 47.
[27] ბიზანტიის ომის შესახებ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კედრენე თავის ისტორიულ თხზულებაში „ისტორიული მიმოხილვა“ (გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. V. თბ. 1963).
[28] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 49.
[29] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 48.
[30] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 49.

კურაპალატს კი მის სიცოცხლეში საგამგებლოდ ერგო „ზემონი ქუეყანანი საბერძნეთისანი“, კურაპალატობის ხარისხიც ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ამ გამარჯვებასთან დაკავშირებით უბოძა.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა დეტალურად აღწერა ყოველივე, რაც იოვანე-თორნიკესთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან სწორედ მისი ქტიტორობით, მისი მოპოვებული განძეულით აიგო ათონის ქართული მონასტერი: „ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშუენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებელად სულთა მრავალთა, რომელსა შინა აღჰმართნეს ეკლესიანი, ცათა მობაძავნი, და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივსულიერთა და განაბრწყინვნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა“.[31] წმ. იოვანე მთაწმინდელმა, წმ. ეფთვიმემ და იოვანე-თორნიკემ „მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და დასაყუდებულონი და განუწესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოლად შუენიერნი და დაუსხნეს სიმტკიცენი და ჴელით-წერილნი და ოქრო-ბეჭედნი ღმრთის-მსახურთა მეფეთანი“.[32] ნაწარმოების დასაწყისშივე წარმოდგენილი „ცათა მობაძავნი ეკლესიანი“ ის ადგილია, საიდანაც წმ. ეფთვიმეს საგანმანათლებლო საქმიანობა უნდა წარემართა. საგანგებოდაა მოთხრობილი იოვანე-თორნიკეს მიერ ბარდა სკლიაროსის დამარცხების ამბავი, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრალური ეპიზოდია და რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიებისათვის ცალ-ცალკე, ისე საქართველო-ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ურთიერთობისათვის, რელიგიური ცხოვრების მოსაწესრიგლად. ფაქტობრივად, ამ ამბავმა განსაზღვრა ქართველთა მონასტრის, ივირონის დიდი ლავრის დაარსება ათონზე.

წმ. იოვანე მთაწმინდელი, იოანე-თორნიკე, წმ. ეფთვიმე, გაბრიელი და სხვანი, – ცხოვრობდნენ მონასტერში, ხოლო მთელი მონასტერი აღასრულებდა ტიპიკონით განსაზღვრულ განგებას. მონასტერში მცხოვრები, ლავრული ცხოვრების მიმდევარი ბერები, მართალია, ტიპიკონის კანონებს ასრულებდნენ, მაგრამ აქვე ცხოვრობდნენ გამორჩეული პიროვნებები, რომელთაც თავიანთი დამოუკიდებელი ინდივიდუალური ცხოვრება ჰქონდათ. ამგვარი იყო იოვანე-თორნიკე, რომლის შესახებ წმ. გიორგი მთაწმინდელი გვაუწ-

[31] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.
[32] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 40.

ყებს, რომ იგი ცდილობდა თავისი ინდივიდუალობის დაძლევას. ამიტომაც გადასცა მთელი განძი თავის სულიერ მამას, წმ. იოვანე მთაწმინდელს, და „თავი თჳსი სრულიად უარ-ყო და არცაᲲ თუ მცირედი რაᲲმე დაუტევა ჴელმწიფებასა ქუეშე თჳსსა, არამედ ეგევითარმან მან განთქუმულმან და საჩინომან კაცმან ყოველივე ნებაᲲ თჳსი მოიკუეთა და სრულებით შეუდგა მორჩილებასა მისსა“.[33] ავტორს განთქმული და საჩინო კაცის, იოანე-თორნიკეს სურვილი ევანგელური ჰიპოდიგმურ-პარადიგმული სახისმეტყველებით შემოაქვს, რადგან ძნელად თუ შეძლებს მდიდარი ცათა სასუფევლის მოპოვებას: „ამინ გეტყჳ თქუენ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა“ (მათე, 19, 23). „ნებაᲲ თჳსი მოიკუეთა“ გულისხმობს ნება-სურვილთა დათმენას, რაც, ევანგელური სწავლებით, სათნოებათა ყოველთა თავად არის მიჩნეული ღვთის მორჩილებასთან ერთად. იოვანე-თორნიკე აღიჭურვა ყოველივე სათნოებით, სიმდაბლით, სიწრფოებით, უმანკოებით და მთლიანად გადასცა საკუთარ სულზე მზრუნველობა დიდ იოვანეს შემდეგი სიტყვებით: „მამაო, თჳთ იცი, რომელ დიდად ცოდვილ ვარ და სიკუდილი მოახლოებულ არს და უნებელი სიწმიდისა თქუენისაᲲ არა ვარ, არამედ ნებაᲲ ჩემი და თავი ჩემი შემდგომად ღმრთისა შენდა მომიცემია, ვითარცა გნებავს, აცხოვნე სული ჩემი“.[34] წმ. მამა იოვანე მთაწმინდელი პატივისცემით ეპყრობოდა მის სიბერეს და ზრუნავდა მის სულიერ მომავალზე.

საგულისხმოა იოვანე-თორნიკესთან დაკავშირებული ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელსაც, აგრეთვე, რელიგიურ-აღმსარებლობითთან ერთად, დიდი მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია ეკისრება. ავტორი მოგვითხრობს: „ხოლო ვინაᲲთგან დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესევითართა პირთათჳს უბნობა და ჰამბავი უყუარდა“.[35] მონასტერში მყოფს მაინც არ ასვენებდა თავისი წარსული დიდი საბრძოლო გმირობები, განუწყვეტლივ ეხმიანებოდა მას, ვინაიდან მის პიროვნებაში ისტორიულ მოვლენათა ხსოვნა ძლიერი იყო; ამ თვალსაზრისით იოვანე-თორნიკე ჰაგიოგრაფიული გმირისაგან განსხვავებული პერსონაჟია; მიუხედავად იმისა, რომ ფიცხელი მონაზვნური ცხოვრებით, მორჩილებით და თავმდაბლად ზრუნავდა სულზე, მაინც წარსულის ტყვეობაში მოექცა; ჰაგიოგრაფის

[33] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 50.
[34] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 50.
[35] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 51.

სიტყვით, ომებში გამობრძმედილი და დაბერებული იოვანე-თორნიკე გარს შემოისხამდა ბერ-მონაზვნებს და მათ იშვიათი ენაწყლიანობით, გატაცებით უყვებოდა განცდილისა და ნანახის შესახებ. ცხადია, ეს ბერმონაზვნურ ეთიკას, ტიპიკალურ კანონებს ეწინააღმდეგებოდა. მისი სულიერი მოძღვარი წმ. იოვანე მთაწმინდელი ამჩნევდა თვისიანის სისუსტეს, ბერისათვის შეუფერებელს. წმ. გიორგი მთაწმინდელი ჭეშმარიტი სულიერი მოძღვრის თვისებებით ამკობს წმ. იოვანე მთაწმინდელს, როგორც თავის დაკარგულ ცხოვართა ღირსეულ მწყემსს, და წარმოაჩენს, როგორც უდიდესი ტაქტის მქონეს და ადამიანური დამოკიდებულებების ღრმად მცოდნეს. მართალია, მან გაუგო მრავლის მომსწრე მოხუც ბერს, რომელსაც თავისი დიდი წარსული, გადატანილი ომების ექო მონასტრის სიმყუდროვეშიც არ ასვენებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ იოვანე-თორნიკეს, დიდი სურვილის მიუხედავად, გაუჭირდა „ნებისა თჳსისა განკვეთაჲ", რასაც თავადაც გრძნობდა. წმ. იოვანე მთაწმინდელი ერიდებოდა მას, რათა არ ეწყენინებინა. იგი იშვიათი ფსიქოლოგიც აღმოჩნდა, ვინაიდან გრძნობდა, რომ მთლიანად აკრძალვა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, გაეფრთხილებინა, რომ სხვა ბერების სულის დამაზიანებელი იქნებოდა და ამიტომ ნება დართო მხოლოდ გაბრიელ ბერთან საუბრისა, რომლისგან „მსოფლიო სიტყუაჲ არა გამოვიდოდა, არამედ ყოველივე საღმრთოჲ და სულიერი".[36] მწერლის უტყუარმა ალღომ შენიშნა, თუ როგორ უნდა განეცადა მოხუც იოვანე-თორნიკეს ეს დელიკატური საყვედური, მითითება, რის შემდეგაც იშვიათად, მხოლოდ ახალმოსულებთან თუ წაიცდენდა ორიოდე სიტყვას და „ესევითარსა სულიერსა ცხორებასა შინა აღასრულნა დღენი თჳსნი და ღმრთისა მივიდა".[37] ამ ეპიზოდის მხატვრული ფუნქციის განსაზღვრა ნაწარმოებს ჰაგიოგრაფიული ტრადიციების გაგრძელებად აღგვაქმევინებს, მაგრამ ამავე დროს, პარალელურად, მასში ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის ჩანასახებსაც დაგვანახებს. ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი პერსონაჟის სულიერი მოძრაობის ჩვენება კი თვით მწერალს იშვიათი სამწერლო ღირსებების მქონედ, მხატვრული აზროვნების გამომხატველად მიგვაჩნევინებს. ამ მხრივ წმ. გიორგი მთაწმინდელი გიორგი მერჩულის ლიტერატურულ-ესთეტიკურ და მხატვრულ ტრადიციათა გამგრძელებლად გვევლინება.

[36] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 51.
[37] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 51.

წმ. გიორგი მთაწმინდელმა არაერთგზის აღნიშნა, რომ იოვანე-თორნიკეს გამო ივირონის მკვიდრთ ბევრი უსიამოვნება და უკმაყოფილება შეხვედრიათ, მაგრამ კონკრეტულს არაფერს ამბობს. წმ. იოვანე მთაწმინდელის სიტყვებიდან გამომდინარე, ესპანეთის იბერიაში გამგზავრებაც იოვანე-თორნიკეს გამო ამტყდარმა შუღლმა და შფოთმა გადააწყვეტინა. მან ბიზანტიის მეფეთა წინაშე თავად განაცხადა „სპანიად" წასვლის სურვილის მიზეზი: „ღმრთისმსახურნო და თვითმპყრობელნო მეფენო! გლახაკი ესე ერისკაცი ვიყავ სოფელსა შინა მყოფი და თანამდები ყოვლისა ბრალისაჲ და მენება, რაჲთა უცხოებასა სამე წარვიდე და სული ჩემი ვიცხოვნო და გლახაკებით ვიყოფებოდი. და თუ ვითა მოჰხდა, არა უწყი; მოვიდა თჳსი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა დიდთა შუღლთა შთავვარდი და ერის-კრებასა და მნებავს, რაჲთა ამის ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შეუდგე".[38]

მიუხედავად ამისა, წმ. იოვანე მთაწმინდელმა იოვანე-თორნიკეს ჯეროვანი პატივი მიაგო. სწორედ იოვანე-თორნიკეს სახელზე დაიწერა პირველი აღაპი, მოსახსენებელი ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნში. თითქოს იოანე-თორნიკე აკავებდა მას ათონზე, ვინაიდან მისი გარდაცვალების შემდგომ მალევე განიზრახა ესპანეთს წასვლა, რაც უშედეგოდ დამთავრდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ავიდოსიდან მოაბრუნეს. იგი კვლავ ათონს დაუბრუნდა და ამიერიდან აღარსად წასვლა აღარ უცდია. იგი ღვთივბოძებული სამშობლოს სულიერად აღორძინებაზე ზრუნვას შეუდგა და ყოველმხრივ ხელს უწყობდა თავის შვილს, წმ. ეფთვიმეს მთარგმნელობით საქმიანობაში, მან თავისი არსებობის აზრი ეროვნული იდეალების სამსახურში პოვა, ქართული მწერლობის გამდიდრებაზე, ქართული კულტურის აღორძინებაზე ფიქრობდა.

ძალიან დიდია იოვანე-თორნიკეს ღვაწლი ივირონის ისტორიაში, რადგან 980-983 წლებში მის მიერ 979 წელს ბიზანტიის იმპერიისათვის გაწეული დახმარების წილად მიღებული საგანძურით აშენდა კარის ღვთისმშობლის ტაძრის სახელით ცნობილი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, სადაც დაბრძანებულია კარის ღვთისმშობლის ხატი. იოვანე-თორნიკეს, ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოამაგის ინიციატივით, ათონურ ხელნაწერთა კოლოფონების მიხედვით, მომზადდა ბიბლიის პირველი სრული ხელნაწერი, ოშკის მონასტერში გადაწერილი, ოშკური „სამოთხე",

[38] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, გვ. 55.

„განძი“, რომლებიც შემდეგ ათონზე გადაიტანა; იგი მუდმივად ზრუნავდა ივირონის მონასტრის ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე.

ამრიგად, წმ. იოვანე მთაწმინდელისა და იოვანე-თორნიკეს მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ხატ-სახეები სამონასტრო ცხოვრების, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის, ეპოქის ვითარების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ინტერესების ფონზეა წარმოჩენილი. ამას ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის სრულყოფილად ასახვის პრინციპი და მეთოდი მოითხოვდა.

Nestan Sulava

THE HAGIOGRAPHICAL IMAGES OF ST. IOVANE ATHONITE AND IOVANE-TORNIKE (ACCORDING TO THE NARRATIVE BY ST. GIORGI ATHONITE)

Summary

The foundation of the literary school and the theological center of Mount Athos is connected to the names of two military leaders: St. Iovane Athonite and Iovane-Tornike. The historical accounts about them are preserved in the old Georgian and Byzantine sources. In those sources their images are refined and their political and ecclesiastical activities are presented in detail. The images of St. Iovane and Iovane-Tornike and facts about their deeds are described in St. Giorgi Athonite's work named as *The Life of our Venerable Fathers Iovane and Eqvtime and the Account of their Worthy Citizenship Described by the Wretched Hieromonk, Giorgi.*

The aim of the author is full demonstration of life and activities of St. Iovane Athonite and Iovane-Tornike in order to present their perfect image. St. Iovane Athonite was committed to enhance the spiritual life of his country and he supported his son, St. Eqvtime in translation of various books, he found the meaning of his existence in service of national ideas, he took up a responsibility of enriching Georgian literature and thought about the promotion of Georgian cultural values.

Iovane-Tornike played great role in history of Iviron, since he built the church named after Holy Virgin in 980-983 with the treasury given to him as a response to his active support of Byzantine Emperor in 979. His initiative was to prepare full version of the Bible, rewritten at Oshki Monastery, named as "Paradise", "Treasure", which was later transfered to Mount Athos. He committed himself enrichment of library of Iviron monastery.

The hagiographical images of St. Iovane Athonite and Iovane-Tornike are displayed in cultural-educational context of their contemporary period, monastic and social life are also taken into consideration.